F75 ✓ 3695

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 მარტი კვირა 1970 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 50 (14654)

საქართველოს კომკავშირის XXVIII ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) — კასპის რაიონის ქსნის მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა ბ. ბელიაშვილი, გორის ბამბეულის კომბინატის ფეიქარი ნ. ჩერკეზიშვილი, ტყიბულელი მეშახტე ჯ. გვენეტაძე, კომკავშირის კასპის რაიკომის პირველი მდივანი ო. ჯონიაშვილი, გაგრის სანატორიუმ „საქართველოს“ მედიცინის და ლ. ზვენიაცკოვსკაია, თერჯოლის რაიონის სოფელ ბარდუბნის კოლმეურნეობის ავრონომი მ. ჯულუხაძე, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ა. ბესელია. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჯიბრება და პრესა

ПРАВДА

28 თებერვლის მოწინავე

ამ თვეში ჩვენი ქვეყანა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას. ჩვენი პრესის ფურცლებზე ამ დღეებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს კორესპონდენციებს, სტატიებს, ნარკვევებს საწარმოო კოლექტივების სახელოვანი საქმეების, ახალი მიჯნების შესახებ, რომლებსაც ქალაქისა და სოფლის მშრომელები სახავენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. პრესა ამ მძლავრი საყოველთაო-სახალხო მოძრაობის პროპაგანდისტად და ორგანიზატორად გამოდის.

საგულისხმოა დედაქალაქის გაზეთების „მოსკოვსკაია პრავდის“, „ვეჩერნაია მოსკვას“, ბევრი, ხაჭარხნო მრავალტრაჟიანი გაზეთის მაგალითი. მიმდინარე წლის დამდეგს ისინი ფართოდ აშუქებდნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების ვალდებულებათა შემოქმედებითს დამუშავებას, რაც საწარმოებში გაჩაღდა. პრესის ტრიბუნის დახმარებით მოსკოვის მშრომელებმა უფრო მკაფიოდ დაინახეს თავიანთ უბნებზე გამოუყენებელი რეზერვები და ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულების ახალი შესაძლებლობანი. ამავე დროს რამდენი სარგებლობა მოაქვს ყაირათიანთა ლაშქრობას, რომელსაც მსურვალედ დაუჭირა მხარი დედაქალაქის პრესამ! მისი ცნობებიდან ჩანს, რა სწრაფად გავრცელდა ფრუნზეს სახელობის ფაბრიკის მჭსოველის მარიამ ივანიოვას თაოსნობა, რომელმაც წინადადება წამოაყენა მომჭირნედ დაზოგონ მასალები და 22 აპრილს, ილიჩის დაბადების დღეს, იმუშაონ დაზოგილი ნედლეულით. მარტო ხამ თვეში მოსკოვის მრეწველობის მშრომელებმა დაზოგეს 14 მილიონამდე მანეთის ნედლეული და სხვა რესურსები.

პრესა გვიჩვენებს მეშახტეთა, მეტალურგთა, ფეიქართა, მშენებელთა, მიწათმოქმედთა — სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკთა შრომითს მიღწევებს. და მკითხველი იგებს ჩვენი ღღეების გმირთა ახალ სახელებს, ეცნობა მათს გულმოდგინე ძიებას. დონბასში, „კრასნოლიმანსკაიას“ შახტში ანატოლი სტეპანოვის ბრიგადამ ხუთწლედის დამდეგიდან 2 მილიონი ტონა ქვანახშირი ამოიღო. სწრაფად იზრდება ისეთი მოწინავე ბრიგადების რიცხვი, რომლებიც ელდში 1.000 ტონასა და მეტ ქვანახშირს იღებენ. შარშან ასეთი ბრიგადა ოცზე ნაკლები იყო, ახლა 150-მდეა. ამ კარგი გამოცდილების გავრცელებაში დიდი წვლილი შეაქვთ მეშახტეთა მხარის გაზეთებს — „სოციალისტიჩესკაია დონბასს“, „რადიანსკაია დონეჩინას“, „ვორიოშილოვგრადსკაია პრავდას“, „პრაპორ პერემოგის“. კემეროვის გაზეთი „კუზბასი“ გვაცნობინებს ვასილ ოგიბალოვის გვირაბგამყვანთა ბრიგადის შესანიშნავ წარმატებას. 31 სამუშაო დღეში მათ გაიყვანეს თითქმის 4 კილომეტრი სამთო გვირაბი, ეს მსოფლიო მიღწევაა. სიცივის პოლუსთან, ინდიგირკაზე, წერს „სოციალისტიჩესკაია იაკუტია“, წიაღის მზვერავებმა გაზარდეს ოქროს მარაგი, გადაჭარბებით შეასრულეს სამრეწველო ექსპლოატაციაში ახალ საბადოთა გადაცემის დავალება... პრესა ყოველდღიურად აქვეყნებს ათასობით ასეთ ცნობას, და ისინი ქმნიან ლენინის იუბილეს წინ საბჭოთა ხალხის დაძაბული და ნაყოფიერი მუშაობის გრანდიოზულ პანორამას.

ჩვენი პრესის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა საქმის ცოდნით, მოვლენათა კვალდაკვალ გააცნოს მკითხველს შეჯიბრების მიმდინარეობა, ყოველივე ახალი და პროგრესული, რაც ყოველდღიურად იქმნება. ეს ოპერატიული საქმიანობა უნდა შეეხმიანოთ ახლანდელ ეტაპზე შეჯიბრების იმ მიზნებისა და ამოცანების გაძლიერებულ პროპაგანდას, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ. გაზეთების, რადიოს, ტელევიზიის უურადღების ცენტრში უნდა იდგეს წარმოების ეფექტიანობისა და შოთმის ნაყოფიერების განუხრელად გადიდების, თვითეულის დისციპლინისა და მინდობილი მუშაობისათვის პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხები.

მთელმა ჩვენმა პრესამ უნდა შეისწავლოს და აითვისოს იმ ვაზეთების გამოცდილება, რომლებიც ნამდვილად ზრუნავენ იმისათვის, რომ მასებს ჩაუნერგონ ეშმაკრატად აკარიათანი, მზრუნველი მიდგომა ხალხის დოვლათისადმი. ვ. ი. ლენინი წერდა კარგ შეურნეობაზე უანგარო „ხელმოჭერილობაზე“, ხაზს უსვამდა, რომ კომუნარმა სწორედ იმით იწყება, როცა რიგითი მუშები ზრუნავენ თვითეული ფუთი პურის, ქვანახშირის, რკინის დაცვისათვის. და განა, მაგალითად, შესანიშნავი არ არის ის, რომ მოსკოველთა ინიციატივით ჩვენი სამშობლოს ყველა ქალაქისა და სოფლის მშრომელები 11 აპრილს გამოვლენ მასობრივ კომუნისტურ შაბათობაზე, რათა ამ დღის იმუშაონ დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით და თავიანთი გამომუშავება გადასცენ ხუთწლედის ვადამდე შესრულების ფონდს! სწორად იქცევიან „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“, „ტრუდის“, „ურალსკი რაბოჩის“ (სვერდლოვსკი), „რაბოჩი კრაის“ (ივანოვო) რედაქციები, რომლებიც ემზადებიან სრულიად საკავშირო შაბათობისათვის, სისტემატურად აშუქებენ ეკონომიური რეფორმის პირობებში მეურნეობის გაძლიერის საპრობლემო საკითხებს.

ისეთ პირობებში, როცა სოციალისტური შეჯიბრება ნამდვილად საყოველთაო სახალხო შეჯიბრებაა, განსაკუთრებით საჭიროა მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებათა მჭიდრო ურთიერთმოქმედება. ახეთი თანამეგობრობის კარგი გამოცდილება შეიძინეს ბელორუსიაში, სადაც ეწყობა რადიოსა და პრესის ერთობლივი რედღება ვალდებულებათა შესრულების შემოწმებისათვის, პრესა ქმედითს შეფობას უწევს რესპუბლიკის უდიდეს მშენებლობებს.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრია გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიების რედაქციები, რომლებიც სუსტად ავლენენენ თავიანთ მამობილიზებელ და მაორგანიზებელ გავლენას შეჯიბრების მსვლელობაზე, ცუდად ზრუნავენ იმისათვის, რომ შეჯიბრებამ მაქსიმალური ნაყოფი გამოიღოს, ვალდებულებათა შესრულებას კი მუდამ ეწევიდეს საზოგადოებრივი კონტროლი. ყველგან როდი იყენებენ საკმაოდ ფართოდ ამ კონტროლის ისეთ ნაცად საშუალებებს, როგორიც არის მუშსოფლკორთა რეიდები, რეზერვების დათვალიერება, მონათესავე საწარმოთა კოლექტივების შეჯიბრება და სხვ. საჭიროა დაუცხრომლად ვეძებდეთ მოწინავე გამოცდილების პოპულარიზაციის ცოცხალ და ყველასათვის გასაგებ ფორმებს, ნოვატორებსა და მათს მეთოდებზე საუბრისას არ ვჯერდებოდეთ უღიმღამო აღწერას, შაბლონს, რაც ეწინააღმდეგება შეჯიბრების თვით არსს, შემოქმედებითს სულისკვეთებას.

მხარს უჭერს რა ახალს, მოწინავეს, ჩვენი პრესა გვეხმარება იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, რომლებიც ხელს უშლიან შემოქმედებითს შრომას. მაგრამ ზოგიერთი რედაქცია გვერდს უვლის ფორმალიზმის ფაქტებს, რომლებიც ზოგან ჯერ კიდევ გვხვდება შეჯიბრების დროს. პარტიული კომიტეტები ყოველნაირად უნდა ამაღლებდნენ თავიანთი ბეჭდვითი ორგანოების მებრძოლურობას ვალდებულებათა შესრულებისადმი კონტროლის დიდმნიშვნელოვან საქმეში.

დიდია საბჭოთა ადამიანების მისწრაფება აღნიშნონ ლენინის იუბილე ახალი მიღწევებით ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში. შეჯიბრების დროს იბადება, იზრდება ახლის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ყლორტები. ჩვენი პრესის მოვალეობაა აქტიურად უჭერდეს მხარს და ავრცელებდეს მათ ყოველნაირად უწყობდეს ხელს კომუნიზმის მილიონობით მშენებელთა ამ პატრიოტული მოძრაობის განვითარებას.

მიფრინავს „კოსმოს-324“

27 თებერვალს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-324“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განკუთვნილია კოსმოსური სივრცის კვლევის განსაგრძობად. (საკდესი).

შეეპასრულოთ ილიჩის ანდერძი, ვისწავლოთ კომუნიზმი!

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა საქართველოს ალკკ XXVIII ყრილობაზე

ძვირფასო ამხანაგებო!

ყრილობის დელეგატებო!

საქართველოს კომკავშირის — ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმის ყრილობა ღირსშესანიშნავ დროს შეიკრიბა. ორ თვეზე ნაკლები დარჩა ლენინის იუბილემდე, რომლისთვისაც ასეთი აღფრთოვანებით ემზადებიან მთელი საბჭოთა ხალხი და მასთან ერთად, რა თქმა უნდა, ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა, ჩვენი მებრძოლი კომკავშირი.

ჩვენს ქვეყანაში ტრადიციად იქცა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალი წარმატებებით აღინიშნოს პარტიისა და ხალხის ცხოვრების ღირსშესანიშნავი თარიღები. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად მიღწეულ წარმატებებს მოწმობენ განვლილი სამეურნეო წლის, ისევე როგორც ხუთწლედის ოთხივე წლის შედეგები.

ამ შედეგებს რომ ვეხებით, საჭირო არ არის დავასახელოთ აქ ციფრები, მოვიყვანოთ სხვადასხვა მონაცემები. ისინი გამოქვეყნებულია პრესაში, სტატისტიკური სამმართველოს ცნობებში, და ბევრისათვის კარგად არის ცნობილი. ვიტყვი მხოლოდ, რომ მთელი ეს მონაცემები, თვითეული ციფრი თვალსაჩინოდ მოწმობს ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის განუხრელ ზრდას, იმ უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაჭრას, რომლებიც სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით არის დასახული, მკაფიოდ ადასტურებს, რომ სწორია ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ადასტურებს მის ერთგულებას ლენინური კურსისადმი.

დღეს, ამ ყრილობაზე, მინდა ვთქვა, თუ რა უდიდესი როლი ეკუთვნის კომუნისტურ მშენებლობაში ჩვენს კომკავშირს, მთელ ჩვენს ახალგაზრდობას.

ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირი ჩვენი პარტიის ერთგული თანაშემწე და მებრძოლი რეზერვია.

ასეთი იყო, არის და იქნება იგი მუდამ!

ტყუილად კი არ ამშვენებს ლენინური კომკავშირის დროშას ექვსი ორდენი, და თვითეული მათგანი დაუვიწყარი ნიშანსვეტია ჩვენი სახელოვანი კომკავშირის საბრძოლო გზაზე, თვითეული ეს ჯილდო აღიარებაა მისი ღიდი დამსახურებისა, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის დამსახურებისა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში.

დღეს არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს კომკავშირი მუდამ იყო ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის ავანგარდში, იმათ პირველ რიგებში, ვინც იბრძოდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის, კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის.

პარტიის მოწოდებით კომკავშირელები მიდიოდნენ ყველაზე ძნელ, ყველაზე პასუხსაგებ უბნებზე — იქ, სადაც საჭირო იყო დაუღალავი მარჯვენა და მგზნებარე გული, და გმირული საქმეებისათვის რაზმავდა მათ ბრძოლის წყურვილი და გამარჯვების რწმენა!

30-იანი წლების კომკავშირელებს, და არა მარტო კომკავშირელებს, კარგად ახსოვთ, რა ენთუზიაზმით, რა აღფრთოვანებით აშენებდა ახალგაზრდობა ზაპეს და აშრობდა კოლხიდას, აგებდა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის კორპუსებს და აღადგენდა ჭიათურის მაღაროებს, ქმნიდა კოლმეურნეობებსა და სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა კულაკობას, ავრცელებდა ცოდნასა და კულტურას ხალხში და ძლევდა წარსულის გადმონაშთებს.

მაგალითად, 1930 წლის ივლისში საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება თესვის ფრონტზე ჩავარდნების აღმოსაფხვრელად „დამკვრელური კვირეულის“ მოწყობის შესახებ. გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა მოწოდება კომკავშირელებისა და მშრომელი ახალგაზრდობისადმი. გამოცხადდა კომკავშირული ლაშქრობა თესვის გეგმის 100 პროცენტით შესრულებისათვის, და თესვის კამპანიაში კომკავშირის ესოდენ აქტიური მონაწილეობის მეოხებით, მის მსვლელობაში შესამჩნევი გარდატეხა მოხდა.

ანდა, განა საგულისხმო არ არის, რომ ზესტაფონის ფეროშეაადნობთა ქარხნის მშენებლების 90 პროცენტზე მეტი კომკავშირელები, ახალგაზრდობა იყვნენ. თავდაპირველად ვერაკვინ ვერ ფლობდა სამშენებლო საქმეს, არ იცოდა ბეტონის ჩასხმა, მაგრამ მალე თითქმის ყველამ შეიძინა სპეციალობა და წარმატებით მუშაობდა მშენებლობაზე.

რიონჰესის მშენებლობის ქუთაისის კომკავშირული ორგანიზაცია შეფობდა. როცა მშენებლობას მუშახელი დააკლდა, კომკავშირმა ახალგაზრდობის მასობრივი მობილიზაცია გამოაცხადა. რიონჰესის მშენებლობაზე გაიგზავნა 2.500 ახალგაზრდა მუშა. კომკავშირის ინიციატივით ეწყობოდა მასობრივი შაბათობანი, შეიქმნა კომკავშირული ბრიგადები. შემდეგ დადგა მომენტი, როცა მშენებლობის მთელმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ თავი დამკვრელურ ბრიგადად გამოაცხადა, გმირული, თავდადებული შრომის მაგალითები გვიჩვენა.

ამხანაგებო!

ეს და ბევრი სხვა მაგალითი და ფაქტი მხოლოდ ისტორიის კუთვნილება არ უნდა იყოს, ისინი მხოლოდ მუზეუმებსა და არქივებში არ უნდა დარჩეს. ამ შესანიშნავი ფაქტებითა და ამბებით უნდა ზრდიდეს კომკავშირი ახალგაზრდობას, მოუწოდებდეს მიბაძოს უფროს თაობათა მაგალითს, განაგრძოს მათი სახელოვანი ტრადიციები.

კომკავშირმა ეს ტრადიციები განსაკუთრებით ახლა უნდა გაიხსენოს, როცა მთელ რიგ უბნებზე იგრძნობა, რომ საჭიროა ახალი ძალების მოზღვავება, საბრძოლო კომკავშირული მგზნებარება, ნამდვილად ახალგაზრდული ენთუზიაზმი. კარგი იქნება, რომ ეს მგზნებარება, ეს ენთუზიაზმი გამოვლინდეს, მაგალითად, ენგურჰესის მშენებლობაზე, სადაც ახლა დგება გადამწყვეტი მომენტი — წელს დაიწყება დიდი ბეტონის ჩასხმა, დაიწყება კაშხალის დაბეტონება.

განაგრძობს რა სახელოვან ტრადიციებს, ჩვენი კომკავშირი სათავეში უნდა ჩაუდგეს ახალგაზრდობის პატრიოტულ მოძრაობას და გაგზავნოს იგი ამ უდიდეს მშენებლობაზე, სადაც მალე საჭირო იქნება 900-მდე კაცი, აქედან 150 მოფერი და 500-მდე წიგნიერი, კვალიფიციური მუშა. მათ უნდა იმუშაონ ბეტონის ქარხანაში, გამამდიდრებელ ფაბრიკაში, კაბელ-ამწეზე და სხვა მექანიზმებზე. ისისათვის, რომ ამ ახალგაზრდობამ მუშაობა დაიწყოს სექტემბერ-ოქტომბერში, საჭიროა უკვე ახლავე შევარჩიოთ ადამიანები, მოვაწყოთ მათთვის კურსები, ვასწავლოთ ამ კადრებს.

ანდა ავიღოთ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. იგი ჩვენი რესპუბლიკის სიამაყეა. მაგრამ ახლა აქ ძნელი მდგომარეობა შეიქმნა: არ ჰყოფნით მუშახელი. იქ უნდა გაიგზავნოს სულ ცოტა 1.500 კაცი. აქაც ჩვენმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდი დახმარება უნდა გაუწიონ ქარხანას.

დაე საქართველოს კომკავშირმა კვლავ გამოიჩინოს ინიციატივა, მოუწოდოს ახალგაზრდობას წავიდეს სამუშაოდ ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გადამწყვეტ უბნებზე.

საქართველოს კომკავშირმა უნდა გააძლიეროს შეფობა ისეთ ობიექტებზე, როგორიც არის ენგურჰესი, თანაც უნდა ახსოვდეს, რომ ეს ობიექტები დამკვრელური კომკავშირული მშენებლობებია.

ამრიგად, ბევრი შესანიშნავი ფურცელია ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირის ისტორიაში, ბევრი პატრიოტული საქმე ჩაწერა მან საბჭოთა საქართველოს მატიანეში, რომლის 50 წლისთავს მომავალ წელს აღვნიშნავთ.

მაგრამ კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი საქმეები მოელის კომკავშირს! და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, როგორც ყოველთვის, კომკავშირელთა სიტყვა და საქმე ერთი იქნება!

როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის შემდეგ მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი ჩვენი ხალხი აღნიშნავს გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვების 25 წლისთავს.

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არა ვთქვა, რომ დიდი სამამულო ომის წლებშიც საქართველოს კომკავშირელები, ახალგაზრდობა, როგორც ყოველთვის, პირველ რიგებში იყვნენ. საკმარისია ითქვას, რომ არმიაში წავიდა საქართველოს 150 ათასი კომკავშირელი, ეს ჩვენი რესპუბლიკიდან ომში წასულთა მეოთხედია.

ამ დღეებში მე კვლავ და კვლავ მაგონდება, თუ რა გმირობითა და ვაჟკაცობით, რა თავდადებით, სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდა ახალგაზრდობა ფრონტზე, მუდამ წინა ხაზისაკენ, ცეცხლის წინა ხაზისაკენ მიისწრაფოდა, — იქ, სადაც მიდინარეობდა ცხარე ბრძოლები. ყოველთვის სიამაყის გრძნობა მეუფლებოდა ჩვენი ახალგაზრდობისათვის, ჩვენი კომკავშირისათვის.

ისინი კი, ვინც ზურგში რჩებოდა, თავიანთი დაუცხრომელი შრომით განამტკიცებდნენ მეომართა მხედრულ გმირობას. ფრონტს დიდ დახმარებას უწევდნენ საქართველოს ქალაქებისა და სოფლების კომკავშირელები, მთელი ახალგაზრდობა. აი დეკემბერ, რომელიც საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო 1944 წლის ნოემბერში:

„გთხოვთ საქართველოს სსრ კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას, რომლებმაც 11.058.290 მანეთი შეაგროვეს საბრძოლო თვითმფრინავების ესკადრილიის „საქართველოს კომკავშირელის“ ასაშენებლად, — გადასცეთ ჩემი მხურვალე სალამი და წითელი არმიის მადლობა. ი. სტალინი“.

მაგრამ წარსულს ვიხსენებთ იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ აწმყო და გავკვალოთ მომავლის გზა. ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები აღვზარდოთ საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით — ეს ნიშნავს ზუსტად და მკაფიოდ განვსაზღვროთ ის ამოცანები, რომლებიც ახლა დგას კომკავშირის წინაშე, მთელი ახალგაზრდობის წინაშე.

დღეს კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს თითქმის ნახევარმილიონიანი კომკავშირი თავის XXVIII ყრილობას შეეგება ორგანიზაციულად კიდევ უფრო განმტკიცებული, პარტიის გარშემო კიდევ უფრო შეკავშირებული.

ჩვენ ყურადღებით მოვისმინეთ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება. იგი სანტერესო და შინაარსიანი იყო. გაწეულია დიდი, ძალიან სასარგებლო, მრავალმხრივი მუშაობა. არ ვილაპარაკებ ამ მუშაობაზე, იმ პატრიოტულ საქმეებზე, რითაც სახელგანთქმულია ჩვენი კომკავშირი, — მათზე საკმაოდ დაწერილებით ილაპარაკეს მომხსენებელმა რ. მეტრეველმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა.

(დასასრული მე-2 გვ.).

ა. ა. გრომიკო მოსკოვში ჩავიდა

28 თებერვალს მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო. იგი ოფიციალურ ვიზიტად იყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით.

მოსკოვში დაბრუნებისას ა. ა. გრომიკო მოკლე ხნით ეწვია ვარშავას. (საკდესი).

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო მუშაობს

24-27 თებერვალს მოსკოვში გამართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ორმოცდამეექვსე სხდომა. სხდომაში მონაწილეობდნენ მუდმივი წარმომადგენლები, — ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის მთავრობათა მეთაურების მოადგილეები. თავმჯდომარეობდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჰ. იარიშევიჩი.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა.

ბულგარელი სტუმრები თბილისში

თბილისში ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო საბჭოების მუშაკთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით მუშაობის გამოცდილების გასაზიარებლად. დელეგაციის მეთაურობს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის მდივანი მინჩო მინჩევი.

დელეგაციაში შედიან ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების ბიუროს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ეკატერინე ავრამოვი, ქალაქ პლოვდივის საოლქო სახალხო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დიმიტრი კარამუკოვი, სოფიის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პეტრე დიკოვი, ქალაქ ბურგასის საოლქო სახალხო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვანგელ ტრიპკოვი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრებასთან არსებული სახალხო საბჭოების გაერთიანების უფროსი მლადენ კოსტოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების ინსტრუქტორი ვიორკი ბანმოვი, ქალაქ რაზგრადის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ხრისტო იორდანოვი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის სამართლის განყოფილების უფროსის მოადგილე დიმა პოპოვი, პრეზიდიუმის მისაღების უფროსის მოადგილე სტოიან ვოვედაროვი, ქალაქ ვარნის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ივანე ტომოვი, სათვმო სახალხო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე სტეფანა ბელაკოვა. დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა სსრ კავშირში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი ს. რადოსლავოვი.

აეროდრომზე ბულგარელ მეგობრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რ. ჯაფარიძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. მოსაშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ი. ურუმაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ბერიძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ჭიჭინაძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმო-საკონსულო განყოფილების გამგე ბ. ჭიპაშვილი და სხვები.

28 თებერვალს ბულგარეთის სახალხო საბჭოების მუშაკები იყვნენ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. საწარმოს კოლექტივი გულითადად შეხვდა ბულგარელ სტუმრებს. შემდეგ მათ გაისეირნეს თბილისში. (საკდესი).

მარტიროს სარიანი 90 წლისაა

ერევანი, 27 თებერვალი. (საკდესის კორ.). 90 წელი შეუსრულდა სსრ კავშირის სახალხო მხატვარს, ლენინური პრემიის ლაურეატს მარტიროს სარიანს. ამ დღეებში განსაკუთრებით ბევრი ხალხია გამოჩენილი მხატვრის საპლ-მუზეუმში, სადაც მისი ტილოების კოლექციაა თავმოყრილი. გაზაფხულის იების თაიგულებით მოდიან აქ მხატვრები, სარიანის ბრწყინვალე, უჭკნობი ნიჭის პატივისმცემლები, რათა მიულოცონ შესანიშნავ ხელოვანს დაბადების დღე და უსურვონ ჯანმრთელობა.

დღეს კი სომხეთის მხატვრის სახლში გაიმართა მარტიროს სარიანის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო. იგი შესაფერი სიტყვით გახსნა სომხეთის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ს. საფარიანმა.

სარიანის მშვენიერ უნარამზარ სამყაროზე, მის ჰაერით აღსავსე, სინათლითა და მზით გაჟღენთილ ტილოებზე ილაპარაკეს სახელმუზეუმის დირექტორმა ხელოვნებათმცოდნემ შ. ხაჩატრიანმა და რესპუბლიკის სახალხო მხატვარმა მ. აბეგიანმა. საღამოზე წაიკითხეს უამრავი მისალმება, მათ შორის მოძმე რესპუბლიკების შემოქმედებითი ორგანიზაციების მისალმებანი.

ჩვენს დიდ საქმეებლოში

სოციალისტური ქვეყნების მწერალთა შეხვედრა

ბუქარესტი, 27 თებერვალი. (საკდესი). 23-27 თებერვალს ბუქარესტში მიმდინარეობდა სოციალისტური ქვეყნების მწერალთა კავშირების დელეგაციების მეშვიდე საყოორდინაციო შეხვედრა.

შეხვედრის მონაწილენი მიიღო რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საბჭოთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჩაუშესკუმ.

ჰოლანდიის მოსახლეობა

ჰაგა, 28 თებერვალი. (საკდესი). ჰოლანდიის სტატისტიკის ცენტრალური ბიუროს მონაცემებით, ამ ქვეყნის მოსახლეობა 1969 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენდა 12.958 ათასს.

ეტნა მოქმედებს

რომი, 28 თებერვალი. (საკდესი). მეათე დღეა განუწყვეტლივ მოქმედებს ახალი კრატერი, რომელიც ეტნის ვულკანის (სიცილიის კუნძული) აღმოსავლეთ ფერდობზე წარმოიშვა. დაახლოებით 3.100 მეტრი სიმაღლიდან ეშვება ლავის ორი ნაკადი.

ციკლონი „ჰეინი“

დარ-ეს-სალამი, 28 თებერვალი. (საკდესი). მადაგასკარის მოსახლეობას სერიოზული მატერიალური ზარალი და მსხვერპლი მოაყენა ციკლონმა „ჰეინმა“, რომელმაც კუნძულს გადაუარა.

როგორც ტანზანიიდან ეუწყებიან, დახოცილია 20-მდე კაცი, უკვალოდ დაიკარგა 5 კაცი, და უსახლკაროდ დარჩა მადაგასკარის 6 ათასზე მეტი მცხოვრები.

ეპიდემია „ალბანეთში“

ალბანეთში ეპიდემიად ქცეულ ფაფარა-ცხელებასთან ბრძოლაში ალბანეთის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს ეხმარებიან ალბანეთში ჩამოსული ექიმები ბულგარეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ინდოეთიდან, ირანიდან, ალჟირიდან, ეგვიპტიდან, ეთიოპიიდან, ბელგიიდან, ინგლისიდან, ავსტრიიდან, ბრაზილიიდან, ბურმიდან, ბელორუსიიდან, ბულგარეთიდან, ბელგ

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვის დასასრული

ჯანა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რომ რესპუბლიკის მშრომელებს ახარებთ კომკავშირის, ჩვენი ახალგაზრდების წარმატებანი, რომლებიც მოპოვებულია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში?

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ასეა, და ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია თავის რიგებში აერთიანებს 116 ათას ახალგაზრდა მუშას, 64 ათასამდე კოლმეურნეს, 24 ათასზე მეტ ახალგაზრდა სპეციალისტსა და მეცნიერ მუშაკს, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების 60 ათას სტუდენტს.

მარტო ჩვენს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში — ახალგაზრდა მუშათა კადრების ამ შესანიშნავ სამჭედლოში, რომლებიც ემატებიან ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის რიგებს, ამჟამად სწავლობს 30 ათასი ახალგაზრდა, ამასთან მათ შორის 90 პროცენტზე მეტი კომკავშირელია.

უნდა ვთქვა, რომ ამ სასწავლებლებისა შეშურდებათ ჩვენს საშუალო სკოლებს, ისინი მოთავსებული არიან ვრცელ შენობებში, კარგად არიან მოწყობილი და აღჭურვილი. შარშან პროფტექნიკურ სასწავლებლებში მიიღეს 20 ათასი კაცი. როცა ისინი დაამთავრებენ სწავლის კურსს — ეს იქნება მუშათა შესანიშნავი, კარგად მომზადებული, კვალიფიციური კადრები. ამიტომ ჩვენს პროფტექნიკურ სასწავლებლებს ყოველნაირად უნდა ვეხმარებოდეთ მათი დაკომპლექტების საქმეში, ყოველდღიურ მუშაობაში. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ახალ სასწავლო წელს ამ სასწავლებლებში უნდა მივიღოთ 22 ათასი კაცი.

ამრიგად, 450 ათასი კომკავშირელიდან 250 ათასზე მეტს შეადგენენ მუშები, კოლმეურნეები, ახალგაზრდა სპეციალისტები და სტუდენტები; თუ ამას დავუმატებთ იმათ, ვინც სწავლობს პროფტექნიკურ სასწავლებლებში, ცხადი გახდება, რა აქტიურად მონაწილეობს კომკავშირი საწარმოო შრომაში, რა უდიდეს ძალას წარმოადგენს იგი.

არაერთხელ დავრწმუნებულვართ იმაში, რომ ახალგაზრდობას სასწაულების მოხდენა შეუძლია. იგი მუდამ მზად არის შრომისა და გმირობისათვის. საჭიროა მხოლოდ უნარიანად წარვმართოთ და აღვზარდოთ იგი, დაკვირვებულად ვუხელმძღვანელოთ მას. ამიტომ, როცა ვამბობთ, ახალგაზრდობა დიდი ძალაა, ამასთან არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ იგი მოითხოვს დიდ და უაღრესად დაძაბულ ყურადღებას, მუდმივ და შეუნელებელ ზრუნვას. აი რატომ არის, რომ მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდას პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს.

ვ. ი. ლენინმა ახალგაზრდობას დაუტოვა ფასდაუდებელი მემკვიდრეობა—განაწესი ახალგაზრდა თაობას, მან მოგვცა მისი ცხოვრებისა და ბრძოლის, სწავლისა და შრომის, განათლებისა და აღზრდის პროგრამა, ჩამოაყალიბა იგი თავის ცნობილ სტატიაში კომკავშირის III ყრილობაზე, სადაც თქვა, რომ „სწორედ ახალგაზრდობამ უნდა შეასრულოს კომუნისტური საზოგადოების შექმნის ეს ამოცანა“.

ისწავლეთ კომუნიზმი — ასეთია ლენინის განაწესი კომკავშირელებისადმი, მთელი ახალგაზრდობისადმი, და კომკავშირის მოვალეობა ის არის, რომ წმიდად შეასრულოს ლენინის ანდერძი, ასწავლოს ახალგაზრდობას ისე იმუშაოს და იცხოვროს, როგორც ლენინმა უანდერძა, აღზარდოს იგი კომუნისტური სულისკვეთებით!

ახალგაზრდობას ჯზრდიდეთ კომუნისტური სულისკვეთებით — ეს ნიშნავს ვუნერგავდეთ მას სიყვარულს შრომისადმი, იმის შეგნებას, რომ საზოგადოების სასარგებლოდ ყოველ გვარი შრომა — როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი, პატივსაცემი და საპატიო ჩვენს ქვეყანაში; რომ ყველაფერი, რაც საჭიროა ადამიანთა ცხოვრებისა და განვითარებისათვის, იქმნება შრომით და მხოლოდ შრომით — პატიოსანი, კეთილსინდისიერი, თავდადებული შრომით. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეული შრომისმოყვარე ადამიანი უნდა მონაწილეობდეს იმ საშუალებათა შექმნაში, რომლებიც საჭიროა მისი ცხოვრებისა და საქმიანობისათვის, საზოგადოების კეთილდღეობისათვის.

ახალგაზრდობას ვზრდიდეთ კომუნისტური სულისკვეთებით — ეს ნიშნავს დღენიადაგ ვზრუნავდეთ მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის, ისე, რომ ახალგაზრდებში შეხამებული იყოს სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა. პარტიას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია უზრუნველყოს ჯანსაღი, მაგარი ახალგაზრდა თაობის აღზრდა, დაწყებული სულ პატარაობიდან და მისი ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიული განვითარება.

აი რატომ არის, რომ კომკავშირი ყოველი ღონისძიებით უნდა ავითარებდეს მასობრივი სპორტისა და ფიზიკური კულტურის ყველა სახეობას, ფიზკულტურულ მორრაობაში აბამდეს მთელ ახალგაზრდობას, რათა ფიზკულტურა და სპორტი მტკიცედ დამკვიდრდეს მის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში. რათა ახალგაზრდობა ჩვენში იზრდებოდეს მხნე, შრომისუნარიანი, ხალისიანი, ფიზიკურად გამოწრთობილი.

ახალგაზრდობას ვზრდიდეთ კომუნისტური სულისკვეთებით — ეს ნიშნავს ჩვენს ახალგაზრდობას ვზრდიდეთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით. საბჭოთა კავშირის ხალხთა ურდვევი მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით.

ამ მიმართულებით საქართველოს კომკავშირმა ბევრი რამ გააკეთა და ახლაც აკეთებს იგი აღზრდილია საქართველოს კომუნისტური პარტიის, ჩვენი რესპუბლიკის საბრძოლო ტრადიციებით, სადაც ინტერნაციონალური აღზრდა, მეგობრობისა და ძმობის განმტკიცება მუდამ იყო პარტიული ორგანიზაციების უპირველესი ამოცანა. საქართველოს კომუნისტური პარტია, ყველა მშრომელი ამაყობს იმით, რომ ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკა ბევრი ერის, მრავალი ეროვნების ერთიანობისა და შეკავშირების ნიმუშია.

მტკიცე მეგობრობა და ძმობა აკავშირებს საქართველოს მშრომელებს ჩვენს უახლოეს მეზობლებთან — სომხეთისა და აზერბაიჯანის მოძმე რესპუბლიკების მშრომელებთან. ეს მეგობრობა, ეს ურღვევი ერთიანობა მკაფიოდ ვლინდება ცხოვრებასა და შრომაში, ყოველდღიურ საქმეებში და, უნდა ითქვას, რომ ბევრად უწყობს ხელს დიდი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

საჭიროა კომკავშირს მუდამ ახსოვდეს, რომ ხალხთა მეგობრობა და ძმობა, მათი ერთიანობა და შეკავშირება ყოველთვის იყო, არის და იქნება ჩვენი პარტიის ეროვნული პოლიტიკის ქვაკუთხედი, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების საფუძველი. აი რატომ არის, რომ, ვისწრაფვით რა გავხადოთ ჩვენი საბჭოთა სამშობლო, ჩვენი სოციალისტური წყობილება უფრო მტკიცე და უძლეველი, ყოველნაირად უნდა განვამტკიცებდეთ თვითეული რესპუბლიკის, და, მაშასადამე, მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობასა და ძმობას!

ახალგაზრდობას ვზრდიდეთ კომუნისტური სულისკვეთებით — ეს ნიშნავს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ვუნერგავდეთ კომუნისტური მორალის — ყველაზე სამართლიანი და კეთილშობილური მორალის პრინციპებს, რომელიც გამოხატავს მთელი მშრომელი კაცობრიობის ინტერესებსა და იდეალებს.

კომკავშირმა ახალგაზრდობა უნდა აღზარდოს ზნეობის იმ ურღვევი პრინციპებით, რომლებიც კომუნიზმის მშენებლის მორალურ კოდექსს შეადგენენ.

აღვზარდოთ ახალგაზრდობა კომუნისტური სულისკვეთებით — ეს ნიშნავს ჩამოვუყალიბოთ ახალგაზრდობას მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, კლასობრივი თვითშეგნება. მაღალი იდეური მრწამსი, აღვზარდოთ იგი კომუნისტური პარტიის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

ჩვენ გვინდა, რომ ქალიშვილები და ჭაბუკები იზრდებოდნენ კომუნიზმის იდეალებისათვის მტკიცე მებრძოლებად. ჩვენი ახალგაზრდობის იდეურ აღზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე პირობებში, როცა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის იდეოლოგიური ბრძოლის გაწვავება მოითხოვს პოლიტიკური სიფხიზლის, იდეური სიმტკიცისა და ყველა საბჭოთა ადამიანის წრთობის შემდგომ გადიდებას.

კომკავშირი მოწოდებულია იყოს პარტიის აქტიური თანაშემწე კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა სულიერი სახის ჩამოყალიბებაში, განუწყვეტლივ სრულყოფდეს იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას ახალგაზრდობაში, ლახვარს სცემდეს ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის უმცირეს გამოვლინებებს, უცხო შეხედულებებსა და ზნე-ჩვეულებებს.

როგორც ცნობილია, კომუნისტური მსოფლმხედველობის, კომუნისტური იდეურობის ჩამოყალიბების საფუძველია პოლიტიკური განათლება. ამიტომ არის, რომ ასე მაღლდება საზოგადოებრივ მეცნიერებათა როლი ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში, ამიტომ არის, რომ საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს პარტიული და კომკავშირული განათლების სისტემის მუშაობას, რომელიც მოწოდებულია ხელს უწყობდეს მწყობრი რეგოლუციური მსოფლმხედველობის ჩანერგვას ახალგაზრდობისათვის.

ახალგაზრდობის იდეური აღზრდის მეტად დიდმნიშვნელოვანი, ქმედითი საშუალებაა ლიტერატურა და ხელოვნება. ჩვენი მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, თეატრისა და კინოს მუშაკების მაღალი მოწოდება ის არის, რომ ქმნიდნენ ღრმად იდეურ და მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც სიმართლით ასახავენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლას, ხელს შეუწყობენ კომუნიზმის მშენებელთა საუკეთესო თვისებების ჩანერგვას ახალგაზრდობისათვის.

უნდა ითქვას, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები ჯერ კიდევ დიდ ვალში არიან ჩვენი ახალგაზრდობის წინაშე. ჩვენი ქალიშვილებისა და ჭაბუკების ცხოვრება, შრომა და ბრძოლა იძლევიან შესანიშნავ, ფასდაუდებელ მასალას დიდი და ბრწყინვალე მხატვრული ტილოებისათვის — ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის, კინოფილმებისათვის, თეატრალური დადგმებისათვის. კომკავშირის ეს ყრილობაც, მისი დელეგატები, ყოველივე ის, რაც აქ ითქვა ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებისა და შესანიშნავი პატრიოტული საქმეების შესახებ, — ყოველივე ეს შეიძლება გახდეს თემა ჩვენი მოზარდი თაობის აღზრდის პრობლემებზე დიდი და სერიოზული საუბრისათვის.

ყველაზე მთავარი, ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მთელ აღმზრდელობითს მუშაობაში ის არის, რომ კომუნისტური იდეები ორგანულად იყოს შეხამებული კომუნისტურ საქმეებთან, რომ ახალგაზრდობას შეეძლოს მეცნიერული კომუნიზმის თეორიის გადაქცევა პრაქტიკული მუშაობის სახელმძღვანელოდ.

ჩვენ, უფროსი თაობის ადამიანებს, მიგვაჩნია, რომ ახალგაზრდობა ჩვენი ქვეყნის მომავალია, ხალხის იმედი, მისი სიცოცხლის გაგრძელებაა, ამიტომ ჩვენმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა, ჩვენმა შვილებმა უნდა შეისისხლხორცონ ყოველივე საუკეთესო, რაც ხალხს შეუქმნია, მისი საუკეთესო თვისებები.

ჩვენ ყოველთვის განსაკუთრებული გულთბილობით ვლაპარაკობთ ახალგაზრდობაზე, და იგი უთუოდ ღირსია ამისა — იგი კარგად შრომობს, ბეჯითად სწავლობს, ღირსეულად განაგრძობს მამებისა და უფროსი ძმების საქმეს, მაგრამ ამასთანავე გვწყინს ყოველივე ის, რაც ჩრდილს აყენებს ჩვენს ახალგაზრდობას, რაც ჩირქსა სცხებს მის კარგ სახელს.

მაგალითად, ძალიან გვაწუხებს ის გარემოება, რომ ახალგაზრდობაში ჯერ კიდევ ხშირია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და დანაშაულობათა შემთხვევებიც კი, მათ შორის განსაკუთრებით საშიში დანაშაულობებისაც, რომ, განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, ჩვენში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ნარკომანიის ფაქტები.

მეტად სამწუხაროა, მაგრამ შარშან ჩადენილ დანაშაულთა ძალიან დიდი პროცენტი მოდის ახალგაზრდობაზე, მათ შორის კომკავშირელებზეც. დანაშაულებრივი მოქმედება ედებათ ბრალად არასრულწლოვანთაც, მათ შორის მოსწავლეებს.

მაგრამ იმათ შორის, ვინც დანაშაული ჩაიდინა, ისეთებიც არიან, რომლებიც არსად არ სწავლობენ და არ მუშაობენ. ჩვენ ვერ შევურიგდებით იმას, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არიან ახალგაზრდები, რომლებიც უსაქმურ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, არ არიან ჩაბმული საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში. ისინი ცდილობენ საზოგადოებისაგან მიიღონ ყველა სიკეთე, საზოგადოების საკეთილდღეოდ, ბრძოლა კი არ უნდათ, ხალხში ასეთებს მუქთახორებს უწოდებენ, რადგან ისინი სხვების ხარჯზე ცხოვრობენ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულების შემდეგ ნარკომანიისათვის და ნარკოტიკულ საშუალებათა გასაღებისათვის ადმინისტრაციული წესით დასასჯა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა არც თუ ცოტა ახალგაზრდა. მათ შორის ოთხი — კომკავშირის წევრი. როგორც ჩანს, ამ მხრივ ჯერ კიდევ არ ვეწევით საკმაო მუშაობას, მაშინ როცა ამ ბოროტებას ყველაზე შეურიგებელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ!

ყველა ანტისაზოგადოებრივი მოვლენის წინააღმდეგ, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების მტკიცედ და განუხრელად დაცვისათვის ბრძოლაში დიდ იმედებს ვამყარებთ ჩვენს კომკავშირზე, რომელიც ამ საქმეშიც ჩვენი პარტიული ორგანიზაციების საიმედო თანაშემწე და მტკიცე დასაყრდენი უნდა იყოს.

ამხანაგებო!

ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ ახალგაზრდობის კავშირის წევრობა ნიშნავს ისე წარმართავდე საქმეს, რომ შენს მუშაობას, შენს ძალებს ახმარდე საერთო საქმეს, რომ კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი უნდა იყოს დამკვრელი ჯგუფი, რომელიც ყოველ მუშაობაში გვიწევს დახმარებას, ირენს ინიციატივას, თაოსნობას. იგი მოუწოდებდა ახალგაზრდობას ყოველდღე, „ყოველ სოფელში, ყოველ ქალაქში“, პრაქტიკულად გადაეჭრა საერთო შრომის ესა თუ ის ამოცანა, თავისი სწავლის, აღზრდისა და განათლების ყოველი ნაბიჯი დაეკავშირებინა მშრომელთა საერთო ბრძოლაში მონაწილეობასთან.

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე ჩვენი ქვეყნის მშრომელების, მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლის ამოცანებს განსაზღვრავს პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებანი, კერძოდ, ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილება, რომელმაც მოგვიწოდა განუხრელად გავადიდოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა და ამით განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი პრობლემა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, დებულებებსა და დასკვნებს, რომლებიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში, ლენინური კომკავშირი შეხვდა როგორც თავისი მუშაობის საბრძოლო პროგრამას.

ახლა ბევრი რამ იქნება დამოკიდებული კომკავშირელთა, მთელი ახალგაზრდობის ინიციატივაზე, იმაზე, რამდენად პასუხისმგებლობით მოეკიდება თვითეული მინდობილ საქმეს, როგორ გაჩაღდება ბრძოლა მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმისა და ყაირათიანობისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი ახალგაზრდობა უნდა დაეუფლოს ახალ ცოდნას, ახალ პროფესიებს, უფრო სწრაფად აითვისოს მოწინავე ტექნიკა. ერთი სიტყვით, ჩვენს ახალგაზრდობას ძალიან ბევრი საქმე აქვს, და რაც უფრო მეტია საქმე, მით უკეთესია, მით უფრო საინტერესო და სრულყოფილია ცხოვრება, მით უფრო ნაყოფიერია ყოველი დღე, მით უფრო ძლიერია იმის შეგნება, რომ შენ ძალიან სჭირდები ხალხს, რომ შენ შეგიძლია სარგებლობა მოუტანო საზოგადოებას, პარტიას, ხალხს. და რა შეიძლება იყოს უფრო მშვენიერი, ვიდრე ის, რომ ცხოვრობდე და მუშაობდე შენი ხალხისათვის, სამშობლოს სასახელოდ, კომუნიზმისათვის?!

დღეს შეგვიძლია მტკიცედ ვთქვათ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენი კომკავშირი მუდამ იქნებიან კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ღირსეულად გამოატარებს ყველა განსაცდელსა და სიძნელეში დიდი ოქტომბრის დროშას, რევოლუციის დროშას, კომუნიზმის დროშას! (მეუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ვიცხოვროთ, ვისწავლოთ, ვიბრძოლოთ ლენინურად!

საქართველოს კომკავშირის XXVIII ყრილობა

საქართველოს კომკავშირის XXVIII ყრილობა, თქვა საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. მეტრეველმა, აჯამებს რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის ორი წლის საქმიანობის შედეგებს. ეს პერიოდი ადინიშნა ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენით — კომკავშირის ნახევარი საუკუნის იუბილეთი და დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებით. ამ ღირსშესანიშნავმა თარიღებმა განსაზღვრეს რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზაციული მუშაობის ძირითადი მიმართულებანი.

რესპუბლიკის 500 ათასზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა მონაწილეობს „ლენინურ ჩათვლებში“. ასეთი მასობრივობა განაპირობა, კერძოდ, იმან, რომ რესპუბლიკაში „ლენინური ორწლედი“ ორგანულად შეერწყა ამ ჩათვლების პირველი ეტაპის დაწყებას. მომსწენებელმა დაასახელა კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ამ დიდ და მნიშვნელოვან საქმეში.

ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის ძირითადი ფორმა კვლავინდებურად არის კომკავშირული პოლიტგანათლების სისტემა. საანგარიშო პერიოდში სწავლის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ამ მიმართულებით ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს თბილისის, ფყალტუბოს, ლენინგორის, გალის, ქობულეთის, წითელწყაროს, გორის საქალაქო და რაიონულმა ორგანიზაციებმა. ამხ. მეტრეველმა აღნიშნა მთელი რიგი კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური საქმიანობა „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების პროპაგანდის საქმეში.

მიმდინარე წელს რესპუბლიკის კომკავშირული პოლიტგანათლების ჭაკენში 8 ათასზე მეტ წრეში, კლუბსა და სენინარში მონაწილეობდა 280 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. მათს პოლიტიკურ სწავლებას ხელმძღვანელობს 8.400 პროპაგანდისტი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომკავშირელთა და ახალგაზრდათა წინაშე ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკების გამოსვლებს საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ პრობლემებზე. ფართო პოპულარობა აქვს მოპოვებული ახალგაზრდობაში დიდი სამამული ომის მონაწილეთა ლექციებსა და საუბრებს. ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ეზიზღება ფაშიზმ ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავი, საჭიროა უფრო ფართოდ გავშალოთ ეს მუშაობა.

რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეიძინეს რევოლუციური ტრადიციებით ახალგაზრდობის აღზრდის მდიდარი გამოცდილება. ამ მიმართულებით სანტერესო მუშაობას ეწევიან ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის, ქუთაისის, რუსთავის, ტყიბულის, თელავისა და სხვა კომკავშირული ორგანიზაციები.

ახალგაზრდობასთან მუშაობაში უნდა ჩავაბაო კომკავშირული მოძრაობის ვეტერანები, თქვა მომხსენებელმა. უკვე რამდენიმე წელია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ნაყოფიერად მოქმედებენ ვეტერანთა რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები, რომლებიც დიდად უწყობენ ხელს რევოლუციური ტრადიციებით ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა კეთდება რესპუბლიკაში ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის. მაგალითად, ამ ბოლო ორი წლის მანძილზე კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მოაწყეს ათასზე მეტი ლამქრობა საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების გზებით. შექმნილია საბრძოლო და შრომითი დიდების ათობით მუზეუმი, -ოთახი, კუთხე, დადგმულია ძეგლები, ობელისკები და მემორიალური დაფები.

ამ ბოლო დროს მკვეთრად გაუმჯობესდა კომკავშირის ორგანიზაციული მუშაობა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახურისათვის ახალგაზრდობის მოსამზადებლად. ეს მუშაობა ბევრ ქალაქსა და სოფელში იწყება სკოლის მერხიდან, იგი მჭიდროდ დაკავშირებულია სასწავლო პროცესთან.

ასობით ჯარისკაცი ეხმარება მოსწავლეებს სამხედრო საქმის საფუძვლების ათვისებაში. მეომრები საშიფო დახმარებას უწევენ რესპუბლიკის სამხედრო-პატრიოტული თამაშის „ელვის“ მოწყობაში. დაწყებითი სამხედრო მომზადების რაიონალურ ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ გასაწვევი პუნქტებისა და სამხედრო-სპორტული ბანაკების შექმნა. კარგად არის დაყენებული საქმე ამ მხრივ ქალაქ თბილისის პირველი ბანაკის რაიონში, სადაც კომკავშირის რაიკომს ინიციატივით მუშაობს „მომავალი მეომრის უნივერსიტეტი“. მჭიდროდ თანამშრომლობენ კომკავშირის რაიკომი, თბილისის გარნიზონის მეომრები და სამხედრო კომისარიატი, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობი ნებაყოფლობითი საზოგადოება და სპორტული ორგანიზაციები ომის ვეტერანთა აქტიური მხარდაჭერით.

საანგარიშო პერიოდში თქვა შემდეგ ამხ. მეტრეველმა, ჩვენი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მთავარი მიზანი იყო ახალგაზრდობის ფართო მასების შემდგომი ჩაბმა კომუნისტურ მშენებლობაში, მისი აქტიური მონაწილეობა ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში.

კომუნისტური მშენებლობის მოწინავე პოზიციებზე დგას ჩვენი სახელოვანი მუშა ახალგაზრდობა. ჩვენი საქმიანობის ყველა მიმართულება, სოციალისტური შეჯიბრების გაფართოება იქნება ეს თუ შრომის ნაყოფიერების გადიდება, სამუშაო დროის, მასალებისა და ინსტრუმენტების რაციონალური გამოყენება თუ შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცება, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა თუ ახალგაზრდობის მონაწილეობა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში, — ყოველივე ეს უნდა ემსახურებოდეს ერთ მთავარ ამოცანას — მომზადონ მუშათა კლასის ღირსეული ცვლა.

მთელ რიგ საწარმოებში ახალგაზრდის სამუშაოზე გაფორმებამდე კომკავშირელი აქტივისტები აცნობენ მას საწარმოს ისტორიასა და ტრადიციებს, შემდეგ კი გზავნიან სამკურნალო ამბულატორიაში. ბევრ ფაბრიკასა და ქარხანაში დანერგეს ახალი რიტუალები, როგორიც არის მუშად კურთხევა, შრომის წიგნაკის მიღების დღე, სახელოვნი ინსტრუმენტის საზეიმო გადაცემა, პირველი ხელფასის დღე და სხვ. დიდი ყურადღება ვიმოქმედ ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო დონისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლებას. ქუთაისის საავტომობილო და რუსთავის მეტალურგიული ქარხნების, ქალაქ ტყიბულის სტალინის სახელობის მაბატის კომკავშირული ორგანიზაციები უშუალოდ მონაწილეობენ მუშათა სასწავლო ჯგუფებისა და ბრიგადების დაკომპლექტებაში, შეფობას უწევენ საწარმოო სწავლებას, შექმნეს გამოცდილების ურთიერთგაზიარების სკოლები. ყოველი ახალგაზრდა სპეციალისტი ამ საწარმოებში შეფობას უწევს ორ-სამ ახალგაზდას. კომკავშირის კომიტეტების ინიციატივით უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის მუშაობს მოსამზადებელი კურსები.

ახალგაზრდა მუშებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების სკოლა გახდა საქარხნო, საქალაქო და რესპუბლიკური კონკურსები ახალგაზრდების მიხედვით. შარშან ასეთ კონკურსებში, რომლებიც მოეწყო 53 საწარმოო პროფესიის მიხედვით, 12 ათასამდე ახალგაზრდა მუშა და მოსამსახურე მონაწილეობდა.

